


სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის
სახელობის ეფექტიანი
მმართველობის სისტემის და
ტერიტორიული მოწყობის
რეფორმის ცენტრი



შინაარსი


შესავალი 3

1. დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობის განვითარება... 4

2. მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება11

3. ცენტრის ორგანიზაციული განვითარება.....18

4. ფინანსური ანგარიში19



შესავალი

ანგარიშში ასახულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის მიერ 2014 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება.

ცენტრის დებულებითა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის #1182 განკარგულებით („საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ტრენინგის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“) დადგენილი ფუნქციების გათვალისწინებით, 2014 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებად განისაზღვრა:

- დეცენტრალიზაციის მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის ხელშეწყობა;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ადამიანური რესურსების განვითარება;
- ცენტრის ინსტიტუციური განვითარება.

აღნიშნული პრიორიტეტების შესაბამისად, 2014 წლის განმავლობაში ცენტრის მიერ შემუშავდა:

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების სამოქმედო გეგმის პროექტი;
- თვითმმართველობის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორები და მათი გაზომვის მეთოდოლოგიური მასალა;
- სამართლებრივი აქტების პროექტები;
- მუნიციპალიტეტებისათვის სამართლებრივი აქტების სამოდელო დოკუმენტები.

თვითმმართველობის მოხელეების სწავლების სფეროში ცენტრის საქმიანობის მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს „ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეების უწყვეტი სწავლების კონცეფციის“ პროექტზე მუშაობის დასრულება. აღნიშნული პროექტი მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეების სწავლების ორგანიზებისა და ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის ჩამოყალიბების ხედვას, რომელიც მორგებულია თვითმმართველობის საჭიროებებზე და ორიენტირებულია მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარებაზე. კონცეფცია, შესაბამის სამოქმედო გეგმასთან ერთად, მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 მაისის N 959 განკარგულებით.

1. დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობის განვითარება

დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სფეროში მიმდინარე რეფორმის სამართლებრივი და საექსპერტო მხარდაჭერა ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სფეროს წარმოადგენს. ცენტრის 2014 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და მათი განხორციელების ვადები განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარე ეტაპის გამოწვევების შესაბამისად. პირველი რიგის ამოცანად დაისახა საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებული, რეფორმის სამოქმედო გეგმის შემუშავება - როგორც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიება.

საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით, რეფორმის სამოქმედო გეგმის შემუშავება

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმაზე მუშაობა წარიმართა სამინისტროს და ცენტრის ერთობლივი კოორდინაციით როგორც გაფართოებული სამუშაო შეხვედრების, ასევე თემატური ჯგუფების საქმიანობის ფორმატში. პროცესის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებდა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“.

სამოქმედო გეგმაში ცენტრის მიერ გაიწერა მუნიციპალიტეტების ადამიანური რესურსების განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი თავი. კერძოდ, დეტალურად განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების სწავლების სისტემის კონცეფციის შემუშავებასა და თვითმმართველობის მოხელეებისათვის სავალდებულო (მინიმალური) კომპეტენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის პროცედურის – სერტიფიცირების შესაძლო შემოღებასთან დაკავშირებული ღონისძიებების თანმიმდევრობა და ამ მიმართულებით მისაღები საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ნუსხა.

სამუშაო შეხვედრების ფორმატში შემუშავებულ მასალებზე დაყრდნობით, ცენტრში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის სხვადასხვა თავების ურთიერთშესაბამისობის ანალიზი. აგრეთვე, განხორციელდა ექსპერტიზა – საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილ ნორმებთან და ვადებთან გეგმის შესაბამისობის გადამოწმების კუთხით.

საბოლოოდ, შემუშავებულმა სამოქმედო გეგმამ მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის პრაქტიკული გზამკვლევის დანიშნულება, რომლითაც განისაზღვრა რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების თანმიმდევრობა, განხორციელების ოპტიმალური ვადები და პასუხისმგებელი უწყებები.

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების სერტიფიცირება

რეფორმის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში, ცენტრმა შეისწავლა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების საბაზისო კომპეტენციის ერთიანი სტანდარტის შემოღებისა და ამ სტანდარტის შესაბამისად მოხელეების სერტიფიცირების სისტემის დანერგვის მიზანშეწონილობის საკითხი.

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების სასერტიფიკატო გამოცდის განხორციელების სამართლებრივი და ინსტიტუციური, ასევე ორგანიზაციული უზრუნველყოფის შესაძლებლობების კვლევის ფარგლებში, ცენტრის ინიციატივით მოეწყო საინფორმაციო-საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრები საგამოცდო და მოხელეების სწავლების მიზნებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის მქონე დაწესებულებების წარმომადგენლებთან. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, შიდა კვლევის სახით, მომზადდა სასერტიფიკატო გამოცდის შემოღებისთვის საჭირო ღონისძიებებისა და ვადების გრაფიკი, ასევე კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტების კონცეპტუალური მონახაზი. შემუშავდა, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების კვალიფიკაციის მინიმალური სტანდარტი და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების სერტიფიცირების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტები.

ცენტრის მიერ მომზადებული მასალები საკონსულტაციო რეჟიმში განხილულ იქნა სამინისტროსთან და საჯარო სამსახურის ბიუროსთან გამართული შეხვედრების ფორმატში.

მუნიციპალიტეტების სამართლებრივი და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა

საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ გათვალისწინებული სიახლეების დანერგვის პროცესის ეფექტიანი წარმართვის მიზნით, 2014 წელს ცენტრმა განახორციელა მუნიციპალიტეტების სამართლებრივი და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის კომპლექსური ღონისძიებები.

კერძოდ, როგორც ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტებისთვის, ასევე იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებსაც არ შეეხოთ ოპტიმიზაციის პროცესი, შემუშავებულ იქნა ჩასატარებელი სამუშაოების გრაფიკი, მომზადდა რეკომენდაციები ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: მუნიციპალიტეტის რეგისტრაცია, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნორმატიული ბაზის შემუშავება და უმოკლეს დროში მისი ამოქმედების საჭიროება, მოქმედი ნორმატიული აქტების რევიზია და კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა, თანამშრომლების სამსახურში აყვანა და ამასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურების ჩატარების უზრუნველყოფა.

ცენტრის თანამშრომლები უშუალოდ მონაწილეობდნენ გასაუქმებელი მუნიციპალიტეტების მიერ ქონებისა და ვალდებულებების განაწილებასა და მუნიციპალიტეტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის პროცესში, რაც გამოიხატებოდა როგორც შესაბამისი კონსულტაციების

გაწევამი, ასევე სანიმუშო აქტების მომზადებასა და სამართლებრივი ექსპერტიზის განხორციელებაში.

მომზადდა და სამინისტროს გადაეცა შემდეგი რეკომენდაციები და პროექტები:

ა) გამგეობის/მერიის დებულებაში გამგებლის/მერიის წარმომადგენლის ფუნქციებთან დაკავშირებული ცვლილებების პროექტი.

ბ) გეგმა-გრაფიკი და რეკომენდაციები მუნიციპალიტეტებისთვის კონკურსის და ატესტაციის ჩატარებასთან დაკავშირებით.

გ) მუნიციპალიტეტების ააიპ და შპს წესდებების ცვლილებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს წესდებების ახალ კოდექსთან სამართლებრივ ჰარმონიზაციას.

ცენტრის მიერ მომზადდა ასევე რეკომენდაციები საკრებულოს პირველ სხდომასთან და ახლადდანიშნული გამგებლის/მერიის პირველ ნაბიჯებთან დაკავშირებით, ასევე სანიმუშო დოკუმენტები (საკრებულოს რეგლამენტი, საკრებულოს კომისიების დებულებები, გამგეობის/მერიის დებულება, გამგეობის/მერიის სამსახურების დებულებები), რომლებიც რეკომენდაციებთან ერთად ელექტრონული და ბეჭდური სახით დაურიგდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსებს, არჩეულ მერებს და გამგებლებს, გამგეობის/მერიის იურიდიული სამსახურის წარმომადგენლებს.

მუნიციპალიტეტების საკრებულოების პირველ სხდომაზე მიღებული აქტების ოპერატიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პრობლემების პრევენციისა და ახალი მუნიციპალიტეტების ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის პროცესის გამარტივების მიზნით, ცენტრის მონაწილეობით შედგა შეხვედრა სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ წარმომადგენელთან. ამასთანავე, შემუშავდა და საკრებულოების აპარატის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს დაეგზავნა გარკვეული რეკომენდაციები მუნიციპალური აქტების ელექტრონულ ბაზაში ატვირთვასთან დაკავშირებით.

ახალი მუნიციპალიტეტებისთვის პრაქტიკული გზამკვლევის მომზადება

მუნიციპალიტეტების ოპტიმიზაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, ცენტრის აქტიური საქსპერტო და საკოორდინაციო ჩართულობით, 2014 წლის აპრილი - ივნისის პერიოდში მომზადდა „სახელმძღვანელო ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტებისთვის“. პროექტი განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამის პროექტის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ მიერ გაწეული დახმარების ფარგლებში და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „საქართველოში რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ მონაწილეობით. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამის პროექტის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ (G3) ფარგლებში შემუშავებულ იქნა შემდეგი სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელოები:

- საჯარო ფინანსებისა და ქონების მართვის სახელმძღვანელო;
- ადგილობრივი თვითმმართველობების ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები;

- ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის სახელმძღვანელო;
- თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის საჯარო მომსახურების უზრუნველსაყოფად;

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების პროცესის კოორდინაცია

2014 წელს ცენტრი მონაწილეობდა სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის მიერ, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ (G3) მხარდაჭერით განახორციელებულ „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანიაში“, რომლის მიზანია იყო საქართველოს მოქალაქეთა ინფორმირება დეცენტრალიზაციის რეფორმის მიმდინარეობისა და კანონმდებლობით განსაზღვრული სიახლეების შესახებ.

აღნიშნული პროექტი საქართველოს 26 ქალაქსა და სოფელში განხორციელდა. საქართველოს 1000-მდე მოქალაქესთან გაიმართა შეხვედრა, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობებთან. მათ მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია თვითმმართველობის რეფორმისა და საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის ხელშეწყობა

ცენტრმა მონაწილეობა მიიღო სამინისტროს ინიციატივით საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილი მთელი რიგი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში. აღნიშნული პროექტებია:

- თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობრივი სარგოს ზღვრული ოდენობის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის წესის“ პროექტი;
- „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 152-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შედგენის, საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, 2014 წლის ბოლომდე პერიოდისთვის, გადანაწილების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება.

ცენტრი ასევე მონაწილეობდა „საჯარო მოხელეების თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის იმ ნაწილის

შემუშავებაში, რომელიც ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების რანგირების სისტემას.

საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ჰარმონიზაცია

ცენტრი აქტიურად იყო ჩართული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ჰარმონიზაციის მიზნით გამართულ საკოორდინაციო შეხვედრებში.

მუნიციპალიტეტებში კონკურსებისა და ატესტაციების მეთოდოლოგიური მხარდაჭერა

ცენტრი, სამინისტროსთან თანამშრომლობის ფორმატში, სამართლებრივ, საექსპერტო და მეთოდურ დახმარებას უწევდა მუნიციპალიტეტებში მოხელეების კონკურსებისა და ატესტაციების ტესტირების ეტაპის ორგანიზებისა და წარმართვის პროცესებს. ცენტრის მონაწილეობითა და აქტიური ჩართულობით მომზადდა სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ბრძანების პროექტი, „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების კონკურსისა და ატესტაციის ტესტირების ეტაპის თემატიკის, ჩატარების მეთოდისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“, ასევე ცვლილებების პროექტები საჯარო სამსახურის სისტემაში კონკურსებისა და ატესტაციების მარეგულირებელ საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებებში.

გაიმართა შეხვედრები მუნიციპალიტეტებში ჩასატარებელი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების კონკურსებისა და ატესტაციების ტესტირების ეტაპის მომსახურების სავარაუდო მიმწოდებელ ორგანიზაციებთან (იუსტიციის სასწავლო ცენტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, ფინანსთა სამინისტროს აკადემია, შსს აკადემია). გამართული შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მომზადდა და საქართველოს მთავრობას წარედგინა წინადადებები ტესტირების მიმწოდებელი ორგანიზაციის/ორგანიზაციების შერჩევისა და მუნიციპალიტეტებისთვის შეთავაზების თაობაზე.

სამინისტროს მხარდაჭერის მიზნით, ცენტრმა, რეგიონული განვითარების საკითხებში შეიმუშავა რეკომენდაციები რეგიონული განვითარების სააგენტოების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის და ზოგადად, რეგიონული მმართველობის და თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის შესახებ; ცენტრში აგრეთვე მომზადდა რეკომენდაციები რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების კრიტერიუმებისა და პროცედურების სრულყოფის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის შემუშავება

დეცენტრალიზაციის მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, ცენტრი მონაწილეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის შემუშავებაში, რომელიც განხორციელდა

შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს პროგრამის „კარგი მმართველობა საქართველოში“ და „პოლიტიკის და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის - PMCG“ მიერ. მუნიციპალიტეტების ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ტესტირება მოხდა 3 საპილოტე მუნიციპალიტეტში - თვითმმართველ ქალაქ რუსთავეში, მარნეულისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში. აღნიშნული მეთოდოლოგია საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, კერძო სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს შეაფასონ საკუთარ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობა, რაც მუნიციპალიტეტების განვითარების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების უფრო ეფექტურად შემუშავების საშუალებას იძლევა. თვითშეფასების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის ჩართულობის მექანიზმები, რაც მუნიციპალიტეტების საქმიანობის დაგეგმვის პროცესს უფრო მეტად ანგარიშვალდებულსა და გამჭვირვალეს გახდის. 2015 წლის განმავლობაში ცენტრი კვლავ აქტიურად იქნება ჩართული აღნიშნული მეთოდოლოგიის მუნიციპალიტეტისთვის მიწოდების, გაცნობისა და დანერგვის ხელშეწყობის პროცესში.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებული სამუშაო და საინფორმაციო ვიზიტები


ცენტრის დირექტორმა, საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში, მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის მონიტორინგის სხდომაში, (კვიპროსის რესპუბლიკა, ქ. ნიქოზია), რომელზეც განხილული იყო საქართველოში დაგეგმილი თვითმმართველობის რეფორმა, ახალი კოდექსით განსაზღვრული სიახლეები და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ ქარტიასთან.

ცენტრის დირექტორმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილესთან თენგიზ შერგელაშვილთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 27-ე სესიაში. სესიაზე მინისტრის მოადგილის მიერ წარდგენილ იქნა ანგარიში საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ვიზიტის განმავლობაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე და რეფორმების ცენტრის დირექტორი შეხვდნენ ევროსაბჭოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და მმართველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ალფონსო ზარდის და ევროსაბჭოს ექსპერტს თვითმმართველობის საკითხებში პროფესორ რობერტ ჰერცოგს. შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარეობის მდგომარეობა და ამ სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები. რეფორმის მიმდინარეობამ ევროსაბჭოს დადებითი შეფასება დაიმსხურა, რაც აისახა როგორც შესაბამის რეზოლუციაში, ასევე ცალკეული ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში.

ოქტომბრის თვეში ცენტრი მონაწილეობდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო ვიზიტში რომელიც

ითვალისწინებდა შეხვედრებს გერმანიის ჰესენის ფედერაციული მიწის სამთავრობო, ზედამხედველობის სისტემის და თვითმმართველობის ორგანოებში, ასევე ჰესენის მიწის თვითმმართველობების ასოციაციაში და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტში. ვიზიტის ფარგლებში მონაწილეებმა, გერმანიის ჰესენის ფედერაციული მიწის მაგალითზე, მიიღეს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელოვან ასპექტებთან დაკავშირებით – ხელისუფლების დონეებს შორის კონმპეტენციების განაწილება, საერთო კომპეტენციის სახეები და მათი გამიჯვნის პრობლემები, თვითმმართველობის ექსკლუზიური და ნებაყოფლობითი უფლებამოსილებები, აგრეთვე თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარე ეტაპისთვის აქტუალური საკითხების პრაქტიკული წახნაგები.

ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც მიემდგვნა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ადამიანური რესურსების მართვისა და მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემატიკას. კონფერენციაზე ცენტრის მიერ წარდგენილ იქნა მოხელეთა კვალიფიკაციის სისტემის სამართლებრივი მდგომარეობის ანალიზი, ასევე ამ მიმართულებით დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმები და ადამიანური რესურსების მართვის სისტემების განვითარების პერსპექტივები საქართველოში.





ასევე, საანგარიშო პერიოდში, ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო ვიზიტში. ვიზიტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრები ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტში, რომლის ფუნქციას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის გამოცდების ორგანიზება და ტრენინგების ჩატარება. ვიზიტის მონაწილეები გაეცნენ ჩეხეთის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების სწავლებისა და სერტიფიცირების რეგულირების მექანიზმებს, სასწავლო პროგრამების სტანდარტების დადგენის, სამსახურში აყვანის, სამსახურებრივი ეთიკის საკითხებს.

2. მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სწავლების კონცეფცია

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებული სხვა არაერთი სიახლის დანერგვასთან ერთად, დადგინდა მუნიციპალიტეტების ვალდებულება 2015 წლის 1 იანვრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეების სწავლება–

გადამზადებისთვის მიმართონ შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1%. ამასთან, სწავლების სფეროში შესაბამისი რეგულაციების შემოღების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაევალა შესაბამისი წინადადებების შემუშავება და 2014 წლის 1 მაისამდე მათი საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, შემუშავდა „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების კონცეფცია“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების კონცეფციის განხორციელების სამოქმედო გეგმა“. საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 29 მაისის #959-ე განკარგულებით მოიწონა აღნიშნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა.

2014 წლის ივნისის თვიდან ცენტრმა დაიწყო მუშაობა ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების კონცეფციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისთვის. კერძოდ, კონცეფციის სამართლებრივი იმპლემენტაციის პროცესის დაწყების მიზნით, ცენტრის მიერ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს იურიდიულ სამსახურთან კონსულტაციების რეჟიმში, შემუშავებულ იქნა საქართველოს კანონპროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული კანონპროექტით კანონს დაემატა 132¹ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მთავრობისათვის უფლებამოსილების მინიჭებას და ამავე დროს დავალდებულებას დადგენილებით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების სისტემა, სისტემაში ჩართული უწყებების უფლებამოსილებები, სწავლების სისტემის ფუნქციონირების პრინციპები და წესი.

კონცეფციის დანერგვისთვის საკვანძო მნიშვნელობის მქონე ისეთი საკითხების განხილვის მიზნით, როგორცაა: სწავლების სისტემის სათათბირო საბჭოს დაკომპლექტება, საბჭოს საქმიანობაში დონორი ორგანიზაციების ჩართულობა, დონორი ორგანიზაციების მხრიდან კონცეფციით წარმოდგენილი სწავლების სისტემის საექსპერტო და ფინანსური მხარდაჭერა, ცენტრმა, ივლისის თვეში ჩაატარა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა დონორ ორგანიზაციებთან, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაციებმა: UNDP, SDC, USAID, GIZ, EU, World Vision; სამუშაო შეხვედრაზე განხილული იყო, ასევე, კონცეფციის იმპლემენტაციის დეტალური სამოქმედო გეგმა.

კონცეფციის სამოქმედო გეგმის მიხედვით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ცენტრის მიერ ჩატარდა რიგი მიზნობრივი ღონისძიებები: ა) მუნიციპალიტეტების საქმიანობის ფუნქციური ანალიზი, რომლის ფარგლებში შესწავლილი იქნა მერიის/გამგეობების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციათა განაწილება და საქმიანობის არსებული პრაქტიკა, რის საფუძველზეც განისაზღვრა მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩასატარებელი ტრენინგების თემატიკის ძირითადი

მიმართულებები; ბ) მომზადდა მუნიციპალურ მოხელეთა სასწავლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია გ) შემუშავდა რამდენიმე მეთოდური სახელმძღვანელო, კერძოდ, ტრენინგის ციკლის პროცედურების, ტრენინგის ხარისხის უზრუნველყოფის და ტრენინგების საჭიროებათა შეფასების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოები.


2014 წელს ჩატარებული ტრენინგები

მოხელეთა სწავლების სფეროში ახალ რეგულაციებზე მუშაობის პარალელურად, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის #1182 განკარგულების („საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეთა ტრენინგის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“) საფუძველზე შემუშავებული მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2014 წლის ტრენინგების გეგმის შესაბამისად, ცენტრმა ჩაატარა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა ტრენინგები თემებზე:

- პროექტის მართვა;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- სამინისტროს წარმომადგენლობა სასამართლოში;
- თვითმმართველობის საკანონმდებლო საფუძვლები;
- სახელმწიფო შესყიდვები;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- ფონდების მოძიება;
- მენეჯმენტის საფუძვლები;
- სტრატეგიული დაგეგმვა;
- საბიუჯეტო პროცედურები;
- მოქალაქეთა მომსახურება;
- ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავება და მონიტორინგი;
- მენეჯმენტი;
- სახელმწიფო (მუნიციპალური) შესყიდვები;
- ქონების მართვა და განკარგვა;
- ევროინტეგრაციის საკითხები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- შიდა აუდიტი;
- საბიუჯეტო პროცედურები და პროგრამული ბიუჯეტი.

2014 წლის განმავლობაში, ჯამში, გეგმიური ტრენინგებით კვალიფიკაცია აიმაღლა 767 - მა საჯარო მოხელემ, რაც წლიური დაგეგმილი რაოდენობის 92% -ია.

მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2014 წლის გეგმის
შესრულება




■ კვალიფიკაცია აიმაღლა

მოხელეებს, რომელთაც წარმატებით დაძლიეს ტრენინგ-კურსები, გადაეცათ სერტიფიკატები.

თითოეული ტრენინგის დასრულებისას მონაწილეთა მიერ ხდებოდა ტრენინგის ხარისხის შეფასება შესაბამისი კითხვარების მეშვეობით.





ყველა ტრენინგის შეფასება მაქსიმალური შეფასების 90-99% დიაპაზონშია.


გეგმიური ტრენინგების პარალელურად, ცენტრის კოორდინაციით, შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „კარგი მმართველობა საქართველოში“ (G3) ფარგლებში, ჩატარდა, ასევე, არაგეგმიური ტრენინგები მუნიციპალიტეტებისთვის, რომელთა თემატიკა და სამიზნე ჯგუფები შეირჩა მუნიციპალიტეტების მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების არაგეგმიური საჭიროებებიდან გამომდინარე. ეს ტრენინგებია:

1. ტრენინგი საკრებულოს თავმჯდომარეებისა და გამგებლებისათვის/მერებისთვის მუნიციპალური ორგანოს მართვის სამართლებრივი ასპექტებზე;
2. ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების სამსახურში აყვანის პროცედურებთან დაკავშირებით (ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეთათვის);

3. ტრენინგი მუნიციპალურ ბიუჯეტებში და შესყიდვებში (ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეთათვის).
4. ტრენინგი საკრებულოს წამყვანი თანამშრომლებისათვის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესახებ“.

არაგეგმიური ტრენინგებით, ჯამში, კვალიფიკაცია აიმაღლა ადგილობრივი თვითმმართველობის 850-მდე საჯარო მოხელემ; სულ, 2014 წელს, ცენტრის ორგანიზებითა და კოორდინაციით დაგეგმილ ტრენინგებზე კვალიფიკაცია აიმაღლა 1600-ზე მეტმა მოხელემ.

ცენტრის დირექტორის 2014 წლის 14 ნოემბრის Nს/8 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და თვითმმართველი ერთეულების საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2015 წლის გეგმა. გეგმა შემუშავდა მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების გეგმურ დიაგნოსტიკაზე დაყრდნობით, რომელიც განხორციელდა 2014 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეში, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის #1182 განკარგულების („საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეთა ტრენინგის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“) საფუძველზე, ამ უწყებებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობით. გეგმა ითვალისწინებს 2000-მდე მოხელის გადამზადებას 36 ტრენინგ-მოდულის მიხედვით.



მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა

მუნიციპალურ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით ცენტრის მიერ 2014 წელს განხორციელებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციის განვითარების

ხელშეწყობა; ამ მიმართულებით ცენტრი თანამშრომლობდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ); კერძოდ, მიმდინარე წლის ივნისი-სექტემბრის პერიოდში განხორციელდა ცენტრისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ერთობლივი პროექტი „ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ თვითმმართველობებში“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა 10 საპილოტე მუნიციპალიტეტში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანური რესურსების მართვის სისტემების დანერგვის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში, შესაბამისი ექსპერტების ჩართულობით, განხორციელდა ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი მოხელეების სწავლება, შემუშავდა სამუშაო აღწერილობების, შეფასებისა და მოტივაციის სისტემების სარეკომენდაციო ნიმუშები, შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ტრენინგების საჭიროებების დადგენის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელო და მის საფუძველზე გამოკვლეულ იქნა მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2015 წლის საჭიროებები. აღნიშნული პროექტი გრძელდება 2015 წელს და მოიცავს 20 მუნიციპალიტეტს, რომლებშიც, პროექტის განხორციელების შედეგად დაინერგება პერსონალის განვითარების პროცედურები, გამოვლინდება თანამშრომელთა ტრენინგ - საჭიროებები და შემუშავდება შესაბამისი ტრენინგ-გეგმები.



3. ცენტრის ორგანიზაციული განვითარება

ორგანიზაციული განვითარების ძირითადი მიმართულებები

ცენტრის ფუნქციების სრულყოფილი და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა ცენტრის ორგანიზაციული განვითარების ღონისძიებები, რომლებიც მოიცავდა როგორც ადამიანური რესურსების განვითარების კომპონენტს, ასევე საქმისწარმოების გაუმჯობესების და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა ვალდებულებების ეფექტიანი და დროული შესრულების ადმინისტრირების საკითხებს.

2014 წლის დასაწყისში დაინერგა საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემები. ჩატარდა კონკურსი ცენტრში არსებული ვაკანტური თანამდებობების შესავსებად, დამტკიცდა შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა. მიღებულ იქნა ცენტრის ახალი შრომის შინაგანაწესი და საქმისწარმოების ინსტრუქცია.

საანგარიშო პერიოდში ცენტრი აწარმოებდა მოლაპარაკებებს ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან. კერძოდ, შემუშავდა ერთობლივი პროექტის „საქართველოში ადგილობრივი რეფორმის მხარდაჭერა“ ლოგიკური ჩარჩო და მომზადდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი საქმიანობები:

- ცენტრის ტექნიკური დახმარება და მისი ოპერაციული პროცედურების სტანდარტიზაცია;
- კურიკულუმების შემუშავება: „ტრენინგი მენეჯმენტში მუნიციპალიტეტების არჩეული გამგებლებისთვის“ და „ტრენინგი თვითმმართველობის დამწყებ საჯარო მოსამსახურეთათვის“;
- ადგილობრივი თვითმმართველობების მოსამსახურეთათვის e-learning -ის სისტემის დანერგვისთვის რეკომენდაციების შემუშავება;
- ჩეხეთის გამოცდილების გაზიარება პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობებში.

ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარების დაგეგმვის მიზნით ცენტრი თანამშრომლობდა კომპანია „სინერჯი გრუპთან“, რომელმაც განახორციელა ცენტრის ფუნქციური დიაგნოსტიკა. დიაგნოსტიკის საფუძველზე იგეგმება ცენტრის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება.

ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა

საჯარო ინფორმაციის გაცემისა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება 2014 წლის განმავლობაში ცენტრის მიერ ხორციელდებოდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და ამ სფეროში აღიარებული მაღალი სტანდარტების შესაბამისად. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შემოსული ყველა განცხადება დაკმაყოფილდა დროულად და სრული მოცულობით. საზოგადოებისთვის მაღალი ინტერესის შემცველი

ინფორმაცია ცენტრის ვებ-გვერდზე ქვეყნდებოდა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, პროაქტიული წესით.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის და ინფორმაციის პროაქტიულად საუკეთესო გამოქვეყნებისთვის ცენტრი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ დაჯილდოვდა სიგელით.



4. ფინანსური ანგარიში

2014 წლისათვის ცენტრის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები განისაზღვრა 270000.00 ლარის ოდენობით. სამინისტროსთან შეთანხმდა ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა საშტატო განრიგი 9 ერთეულით.

ცენტრის მიერ 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან გაწეულმა 12 თვის ხარჯებმა სულ შეადგინა 241016.32 ლარი, მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება 192256.20 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება - 46340.68 ლარი;
3. სოციალური უზრუნველყოფა - 1434.72 ლარი;
4. სხვა ხარჯები - 984.72 ლარი;
5. არაფინანსური აქტივები - 0.0 ლარი.